

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საიამ ჰიჯაბის აკრძალვის თაობაზე სახალხო დამცველს მიმართა

მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს საიამ მიმართა სახალხო დამცველს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის ორი მუსლიმი მოსწავლე გოგონას სახელით. საქმე ეხება ყარაჯალის საჯარო სკოლის დირექტორის მხრიდან მოსწავლე გოგონასათვის სკოლის ტერიტორიაზე მუსლიმური რელიგიური სიმბოლოს ჰიჯაბის ტარების აკრძალვას.

საია სახალხო დამცველთან ასაჩივრებს სკოლის შინაგანაწესის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომელიც მოსწავლისაგან ითხოვს სკოლაში ქუდის, კეპის, ბენდენას და თავსახვევის ტარების აკრძალვას.

საიას მიაჩნია, რომ შინაგანაწესის ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლითაც

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



აკრძალულია ირიბი დისკრიმინაცია (ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულების დაუშვებლობა).

საია თვლის, რომ თავსახვევის ამკრძალავი სკოლის შინაგანაწესი ნეიტრალურია რელიგიური სიმბოლოების მიმართ, თუმცა ამ დებულების აღსრულების პრაქტიკა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მუსლიმ გოგონას ქრისტიან თანატოლებთან შედარებით. შინაგანაწესი მსგავს აკრძალვას არ აწესებს მოსწავლის მიერ საჯარო სკოლაში ქრისტიანული ჯვარის ტარებასთან დაკავშირებით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა დაწესებულებამ, მათ შორის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლამ თავისი შიდა რეგულაციები შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან.

განცხადებით საია თხოვს სახალხო დამცველს, რეკომენდაციით მიმართოს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს, რომ შეიცვალოს შინაგანაწესი, რათა მუსლიმ მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცეს ატარონ ჰიჯაბი.